თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7945107

ნომერი: AR11145150

თარიღი : 28.05.2026

გაცემის თარიღი : 02.06.2026

გაცნობის თარიღი : 02.06.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ღუდუშაური პ/ნ 01019006529
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 3 ბ. 1

ორგანიზაცია:

- შპს უნიმოლი კოდი: 200048199

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კერძო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხისა და დრენაჟის მოწყობა რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

# ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ :

- განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე: ინტერაქტიულ რუკაზე განსაზღვრული უნდა იყოს საპროექტო ნაგებობის შესაბამისი კონკრეტული ტრაექტორია/ადგილმდებარეობა (ან წარმოსადგენია ახალი განცხადება, რომლის მიხედვითაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
- მოთხოვნის შინაარსი: დაზუსტდეს მოთხოვნის ტექსტი, ვინაიდან საუბარია გათხრით სამუშაოებსა და მილის შეკეთებაზე. შენიშვნა: მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ, საქართველოს მთავრობის 255 დადგენილების შესაბამისად შეკეთება (რემონტი, აღჭურვა/მოპირკეთება) არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას ან/და მშენებლობის შეტყობინებას. შეკეთება ისეთი მშენებლობაა, რომლის დროსაც დეფექტები აღმოიფხვრება ისე, რომ არ იცვლება შენობა-ნაგებობის იერსახე და მზიდი კონსტრუქციები, მათ შორის ხაზობრივი ნაგებობების რემონტი-შეკეთება მათი სიმძლავრისა და მახასიათებლების შეუცვლელად, ტექნიკური ნორმების დაცვით;
- ფოტომონტაჟი: წარმოსადგენია ხაზობრივი ნაგებობის პროექტი;
- წარმოსადგენია სარეკონსტრუქციოდ მოთხოვნილი ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- N01.11.12.016.127 მიწის ნაკვეთის ერთ-ერთი თანამესაკუთრის სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204521794) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა სამუშაოების განხორციელებაზე.
- სამუშაოების განხორციელებაზე წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობაზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელება N01.11.12.016.127 მიწის ნაკვეთის გარდა დაგეგმილია სხვა მიწის ნაკვეთზეც / სხვა მიწაზეც და თუ სამუშაოები კვეთს / გავლენას ახდენს სხვა ხაზობრივ ნაგებობებზე, მაშინ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები, კერძოდ:

ა) წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა აბსოლუტურად ყველა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოები;

ბ) წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა ყველა აბსოლუტურად ყველა იმ მესაკუთრისა, ვის საკუთრებაში არსებულ ხაზობრივ ნაგებობასაც კვეთს (გავლენას ახდენს) განსახორციელებელი სამუშაოები.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.